



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის ნოემბერში საქართველოს რეალური მშპ წლიური ზრდა 9.3%-მდე დაჩქარდა, წინა თვის 8.3%-იანი ზრდის შემდეგ. ჯამურად, 2022 წლის პირველ 11 თვეში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 10.0%-ით გაიზარდა. ნოემბერში ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, ტრანსპორტის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის, სამთომომპოვებითი მრეწველობის, ვაჭრობის და მასპინძლობის დარგებში, ხოლო შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის და უძრავი ქონების სექტორებში. ჩვენი პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 10.2%-ით გაიზარდება 2022 წელს, ხოლო 4.8%-ით 2023 წელს.

მიმდინარე ანგარიში: სეზონის მიხედვით, 2022 წლის მე-3 კვარტალში მიმდინარე ანგარიში პროფიციტული გახდა და მშპ-ის 5.9% შეადგინა, რაც მეორედ დაფიქსირდა 2018 წლის მე-3 კვარტლის შემდეგ. პოზიტიური მიმდინარე ანგარიში ძირითადად მომსახურების ბალანსის (+3.0-ჯერ წ/წ, მშპ-ის 17.4%, რაც განაპირობა ტურიზმის შემოსავლების სწრაფმა აღდგენამ, რომელმაც 2019 წლის მე-3 კვარტლის 122.3% შეადგინა) და ტრასფერტების (+54.3% წ/წ, მშპ-ის 13.1%) მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა. რაც შეეხება საქონლით ვაჭრობის უარყოფით ბალანსს, ის წლიურად 15.7%-ით გაიზარდა 1.2 მლრდ აშშ დოლარამდე, რადგან საქონლის ექსპორტი 50.8%-ით, ხოლო იმპორტი 36.3%-ით გაიზარდა. ამასთან, 2022 წლის მე-3 კვარტალში წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 2.4-ჯერ გაიზარდა 687.2 მლნ აშშ დოლარამდე (მშპ-ის 10.1%), ხოლო პორტფელური ინვესტიციების ბალანსი უარყოფითი იყო, რომელმაც აღნიშნულ პერიოდში 1.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ჯამურად, 2022 წლის პირველ 9 თვეში, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 2.7% შეადგინა, რაც ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია (2021 წლის პირველ 9 თვეში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 10.2% იყო).

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 5.4%-ით გაიზარდა 2022 წლის ნოემბერში (+1.0% თ/თ), წინა თვის 3.7%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 43.7 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების პორტფელის წლიური ზრდა ნოემბერში 13.8% იყო (+1.2% თ/თ), იგივე რაც ოქტომბერში დაფიქსირდა. სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი 10.1%-მდე (+9.4% ოქტომბერში) დაჩქარდა, ხოლო საცალო დაკრედიტების წლიურმა ზრდამ 17.3% (+17.9% ოქტომბერში) შეადგინა; აქედან, იპოთეკური სესხების პორტფელი წლიურად 13.6%-ით გაიზარდა, წინა თვის 13.8%-იანი ზრდის შემდეგ. 2022 წლის ნოემბერში სესხების დოლარიზაცია მცირედით 44.7%-მდე გაიზარდა (-5.65პპ წ/წ და +0.05პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხები 1.9%-ს გაუტოლდა (-0.32პპ წ/წ და +0.03პპ თ/თ).

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად მნიშვნელოვნად 29.8%-ით გაიზარდა 42.6 მლრდ ლარამდე 2022 წლის ნოემბერში, წინა თვეში დაფიქსირებული 28.0%-იანი ზრდის შემდეგ (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით). ვალუტების მიხედვით, ნოემბერში ლარის დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 30.6% (+26.8% წინა თვეში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიურმა ზრდამ (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 29.2% (+28.7% წინა თვეში) შეადგინა. ამასთან, ნოემბერში დეპოზიტების დოლარიზაცია მცირედით 56.7%-მდე შემცირდა (-3.77პპ წ/წ და -0.57პპ თ/თ).


ეკონომიკური ინდიკატორები

	2020	2021
რეალური მშპ-ს ზრდა	-6.8%	10.5%
მშპ ერთ სულზე (ppp)	14,849	17,386
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,256	5,023
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.4%	13.9%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.9	4.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	12.5%	10.4%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	9.3%	6.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	60.2%	49.7%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი


*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

რეალური მშპ-ის წლიური ზრდა



წყარო: საქსტატი

საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: სეზ



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2022 წლის 27 დეკემბერს 5-წლიანი 90.0 მლნ ლარის (33.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.1-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.166პპ-ით შემცირდა და 8.826% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 10 იანვარს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2022 წელი

მადიანობა	გამომუშება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	240	0	120
1-წელი	295	0	295
2-წელი	900	0	1,117
5-წელი	1,078	0	3,500
10-წელი	300	0	1,496
სულ	2,813	0	6,528


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2022 წლის ნოემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.18%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 100.48 (-0.01% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 95.18 (+0.16% წინა კვირასთან შედარებით), 10.56%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 87.90 ფასად (-0.36% წინა კვირასთან შედარებით), 6.68%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 90.92 (+0.11% წინა კვირასთან შედარებით), 5.81%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ვერობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	90.92	5.81	182.70
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/BB/-	87.90	6.68	296.75
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	100.48	5.18	34.37
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/-	99.32	12.54	692.68
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B+/B1	95.18	10.56	576.47
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-27	B+/-/B1	94.80	9.96	606.48
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	98.31	6.99	227.20
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/-	93.50	13.57	1,054.17

ადგილობრივი ობლიგაციები


GLC	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	99.90	5.88	n/a
GLC	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	99.99	4.75	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-23	-/-/-	99.49	6.75	n/a
IG Development	USD	15	6.75%	Jan-24	-/-/-	97.35	8.90	n/a
IG Development	USD	15	8.50%	Jul-24	-/-/-	99.77	8.65	n/a
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-24	-/-/-	99.73	8.65	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	15.50%	Dec-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Evex Hospitals	GEL	50	13.60%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	13.62%	Nov-24	-/-/-	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	58.4	13.37%	Mar-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
Geo Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-27	-/-/-	n/a	n/a	-/-/-

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 26.05 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.56% წინა კვირასთან შედარებით და +2.96% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 96 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 25.60 - 26.25 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 88 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 22.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.18% წინა კვირასთან შედარებით და +3.89% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 91 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 22.00 - 23.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 129 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 7.30 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.67% წინა კვირასთან შედარებით და -3.31% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 107 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 7.28 - 7.40 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 51 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Bank of Georgia	BGEO	GBP	26.05	1,281	99.5%	60.2%	56.2%	4.58x	4.00x	4.09x	1.06x	1.04x	0.88x
TBC	TBC	GBP	22.70	1,252	79.6%	37.6%	37.6%	4.75x	4.38x	4.11x	1.04x	0.96x	0.82x
Halyk Bank	HSBK	USD	11.10	3,027	11.0%	-33.1%	-32.7%	2.60x	2.93x	2.97x	0.76x	0.75x	0.63x
Akbank	AKBNK	TRY	19.75	102,700	146.3%	169.1%	174.3%	6.04x	1.83x	2.59x	0.96x	0.82x	0.65x
Garanti	GARAN	TRY	30.50	128,100	119.4%	166.1%	170.6%	7.12x	2.40x	3.04x	1.20x	0.97x	0.74x
Isbank	ISCTR	TRY	13.02	58,590	197.3%	292.1%	302.3%	2.87x	1.15x	1.30x	0.99x	0.60x	0.56x
PKO	PKO	PLN	30.42	38,025	8.6%	-32.3%	-32.3%	6.63x	10.42x	5.98x	0.86x	1.09x	0.95x
PEKAO	PEO	PLN	86.56	22,719	6.2%	-29.0%	-29.0%	9.22x	7.02x	5.62x	0.84x	0.97x	0.85x
Millennium	MIL	PLN	4.61	5,595	18.7%	-43.7%	-43.7%	na	2.25x	2.68x	0.81x	1.15x	0.92x
Mbank	MBK	PLN	296.60	12,571	32.1%	-31.5%	-31.5%	na	7.36x	4.93x	0.83x	1.00x	0.86x
BRD	BRD	RON	12.94	9,018	2.5%	-26.9%	-26.9%	6.06x	6.92x	6.40x	0.81x	1.39x	1.09x
Banca Transilvania	TLV	RON	20.00	126,229	0.6%	-13.1%	-13.1%	na	na	na	1.24x	1.35x	1.21x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	0.0%	0.0%	0.0%	8.76x	9.14x	8.99x	0.65x	0.66x	0.60x
Komercni	KOMB	CZK	654.50	124,387	-1.2%	-30.0%	-30.0%	11.10x	7.40x	8.08x	1.14x	1.01x	0.96x
საშუალო								6.34x	5.17x	4.68x	0.94x	0.98x	0.84x
მედიანა								6.06x	4.38x	4.11x	0.91x	0.98x	0.86x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2021	2022F	2023F	2021	2022F	2023F
Georgia Capital	CGEO	GBP	7.30	340	20.5%	13.7%	2.4%	1.80x	3.97x	3.01x	0.41x	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	12.52	455	-4.9%	-7.1%	-6.8%	13.85x	na	na	0.94x	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	45.68	93,206	141.6%	249.2%	245.3%	5.61x	2.50x	3.75x	1.31x	1.09x	0.81x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	28.00	527	10.7%	-29.7%	-29.7%	2.57x	na	6.99x	0.68x	1.05x	0.84x
Eurazeo	RF	EUR	58.85	4,662	-0.4%	-22.9%	-23.4%	2.91x	13.29x	9.28x	0.72x	0.66x	0.63x
Carlyle Group	CG	USD	30.23	10,771	-4.5%	-44.4%	-44.9%	3.34x	6.92x	7.28x	1.87x	2.49x	2.00x
Wendel SE	MF	EUR	87.90	3,933	10.2%	-17.2%	-16.6%	3.45x	7.31x	7.22x	1.35x	1.38x	1.21x
HgCapital Trust	HGT	GBP	3.51	1,596	6.1%	-16.6%	-16.6%	na	na	na	na	na	na
NB Private Equity Partners	NBPE	GBP	16.00	698	7.7%	-13.0%	-13.5%	na	na	na	na	na	na
Oakley Capital Investments	OCI	GBP	4.20	749	9.0%	0.4%	0.2%	na	na	na	na	na	na
Princess Private Equity	PEY	EUR	8.44	584	-30.5%	-43.0%	-41.6%	3.10x	na	na	0.52x	na	na
Symphony International Holding	SIHL	USD	0.45	230	0.7%	8.0%	8.2%	1.78x	na	na	0.45x	na	na
საშუალო								4.27x	6.80x	6.25x	0.92x	1.33x	1.10x
მედიანა								3.10x	6.92x	7.10x	0.72x	1.09x	0.84x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობისთვის მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge